სააქციო საზოგადაობა „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“
აქციონერთა წლიური საერთო კრების
ოქმი №1/2014 ამონაწერი

ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14
ჩატარების თარიღი: 2014 წლის 13 მაისი
კრების დაწყების დრო: 11 საათი 00 წუთი

სააღრიცხვო თარიღი: 2014 წლის 10 აპრილი.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ 2014 წლის 11 აპრილს შეტყობინება გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, საიტზე www.matsne.gov.ge.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებას გააჩნია უფლებამოსილება, ვინაიდან დარეგისტრირებულია და კრებას ესწრებიან აქციონერები, რომელთაც ხმის უფლების მქონე აქციათა 96.801403 % ეკუთვნის. კვორუმი შედგა.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის თანახმად, ბანკის აქციონერთა წლიურ საერთო კრებას თავმჯდომარეობდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი არჩილ რესანის– ძე კონცელიძე.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებას ესწრებიან მოწვეული პირები, კერძოდ:
ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად არჩეულ იქნას ლენა ბესიკის ასული ბაკურაძე.

**4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით „სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2013 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ“**
**მოისმინეს:** სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორის მ.ვ.მენთეშაშვილის ინფორმაცია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2013 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ წესდების 5.10 პუნქტის «კ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

**კენჭისყრაზე დასმული საკითხის გადაწყვეტილების პროექტი:**
ბანკის მოცულობის განუხრელი ზრდისა და დაგეგმილი ბიზნეს მაჩვენებლების შესრულების აუცილებლობის გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ბანკის პოზიციონირებას ქართულ საფინანსო ბაზარზე, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ არ გასცეს დივიდენდები 2013 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით. ბანკის 2013 წლის მოგება 8,156,343 (რვა მილიონ ას ორმოცდათექვსმეტი ათას სამას ორმოცდასამი) ლარის ოდენობით მთლიანად მიმართოს ბანკის წინა წლების ზარალის დასაფარად.

კენჭისყრის შედეგები:

მხარი დაუჭირეს – 165 450 569 ხმა, რაც აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირებული აქციონერების 96.801403 % შეადგენს;
წინააღმდეგ მისცეს ხმა – არა;
თავი შეიკავეს – არა.

**გადაწყვეტილება მიღებულია.**

**დაადგინეს:**

ბანკის მოცულობის განუხრელი ზრდისა და დაგეგმილი ბიზნეს მაჩვენებლების შესრულების აუცილებლობის გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ბანკის პოზიციონირებას ქართულ საფინანსო ბაზარზე, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ არ გასცეს დივიდენდები 2013 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით. ბანკის 2013 წლის მოგება 8,156,343 (რვა მილიონ ას ორმოცდათექვსმეტი ათას სამას ორმოცდა სამი) ლარის ოდენობით მთლიანად მიმართოს ბანკის წინა წლების ზარალის დასაფარად.

ბანკის აქციონერთა წლიური
საერთო კრების თავმჯდომარე ა. რ. კონცელიძე

ბანკის აქციონერთა წლიური
საერთო კრების მდივანი ლ. ბ. ბაკურაძე

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი